პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 5 მაისი 1925 წ.

წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 97 (795) 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## გაუმარჯოს კომუნისტურ წითელ პრესას—მშრომელთა საუკეთესო მეგობარს კომუნიზმის განხორციელების საქმეში!

## პრესის დღე და ჩვენი გაზეთი.

ხუთი მაისი—წითელი პრესის დღეა.

ბეჭვდითი სიტყვა უძლიერესი იდეოლოგიური იარაღთაგანია მუშათა კლასის ხელში მისი ხელისუფლების გასამტკიცებლად და სოციალისტური ამშენებლობის საქმის წარმატებით წასაყვანად.

საბჭოთა პრესა დაუძინებელი მტერია ბურჟუაზიის და ერთგული დამცველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკების ინტერესებისა. ის ძლიერია მით, რომ მის შექმნაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მშრომელთა დიდი რაოდენობა, მუშკორების, გლეხკორების და სამხკორების სახით.

ამიტომაც პროლეტარული პრესის სიძლიერე, მისი იდეოლოგიური გავლენის სიფართოვე დამოკიდებულია იმისგან თუ რამდენათ ახლო სდგას ის მშრომელთა მასასთან და რამდენათ სრულად და ფართოდ ასახავს ის მათი საშუალებით მათივე ცხოვრებას და მუშაობას.

პროლეტარული პრესის ძირითადი ამოცანაა ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ყოველ გვარ წამოწყებას და ახალ საქმეს, მიმართულს მუშების და გლეხების კეთილდღეობის განმტკიცებისაკენ.

ჩვენი წითელი სამხედრო პრესის ძირითად ამოცანას კი შეადგენს, ხელი შეუწყოს წითელი არმიის რიგების გაფოლადებას, მასში რევოლიუციონურ დისციპლინის გაძლიერებას, წითელ არმიელთა სამხედრო-პოლიტიკურ აღზრდას, წითელი არმიის ძლიერების და საბრძოლო უნარის სწრაფი ზრდას.

ასეთია ის დიდი მნიშვნელობის ამოცანები, რომლებიც დგანან საერთოდ ჩვენი სამხედრო პრესის და კერძოთ წითელ-არმიელთა ბეჭდვითი სიტყვის წინაშე.

ყოველივე ამის შესრულება წითელ-არმიელთა გაზეთებს შეუძლიათ მხოლოდ იმ პირობით, თუ მის მუშაობაში ენერგიულად ჩაებმებიან წითელ-არმიელთა, პოლიტ-მომუშავეთა და მეთაურთა მეტი რიცხვი.

თუ მუშური და გლეხური გაზეთების ნაყოფიერი მუშაობა უმთავრესად დამოკიდებულია მათში მუშკორების და გლეხკორების მონაწილეობის დონესაგან, წითელ-არმიელთა პრესის მიერ დასახულ ამოცანების წარმატებით შესრულებაც დიდათ დამოკიდებულია იმისგან თუ რამდენათ ის მჭიდროთ დაკავშირებულია სამხკორებით წითელ-არმიელების მასასთან.

რამდენათ მეტია სამხკორთა რიცხვი, რამდენათ აქტიურია მათი თანამშრომლობა წითელ-არმიელთა პრესაში, იმდენათ ეს უკანასკნელი ახლოა თავის ძირითად ამოცანების შესრულებასთან.

ამიტომაც პირველი და მთავარი ამოცანა დღეს არის რაც შეიძლება მეტი რიცხვი სამხკორებისა.

ეს ჩვენი გაზეთის დამკვრელი ლოზუნგია!

ჩვენდა სამწუხაროთ კიდევ არიან ისეთი ნაწილები, სადაც სრულიად არ მოიპოვებიან სამხკორები ან და მათი რიცხვი არ სცილდება ერთს და ორ კაცს.

მომავალ წლის პრესის დღისათვის ჩვენ უნდა მივაღწიოთ მას, რომ ჩვენი სამხკორთა რიცხვი ასი და მეტი პროცენტით გადიდებულ იქმნას.

ეს ჩვენი ძირითადი ამოცანაა და ის შესრულებულ უნდა იქმნას ყოველ მიზეზ გარეშე!

დღეს ხუთ—მაისს, პროლეტარულ პრესის დღეს, გაზეთი „წითელი-არმიელი“ მოუწოდებს ყველა თავის მეგობრებს, წითელ-არმიელებს და პოლიტ და მეთაურთა შემადგენლობის ამ ამოცანის განხორციელებისაკენ!

გაუმარჯოს წითელი-პრესის დღეს ხუთ მაისს!

გაუმარჯოს ჩვენი გაზეთის მრავალრიცხოვან სამხკორთა არმიას!

## რისთვის ვდღესასწაულობთ ჩვენ პრესის დღეს.

22 აპრილს (5 მაისს ახალი კალენდრის მიხედვით) ლენინგრადში (მაშინ პეტერბურგში) პირველად იქნა დაწესებული მუშათა პრესის დღე.

მაშინ მეფის ცენზურის სასტიკ პირობებში გამოდიოდა მუშათა ლეგალური გაზეთი „პრავდა“.

„პრავდა-“ს პირველი ნომერი გამოვიდა 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს).

„პრავდა-“ს ორი წლის თავზე მისმა მუშა—მკითხველებმა წამოაყენეს აზრი მუშათა პრესის დღესასწაულის დაწესების შესახებ. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ მოიწონა ეს აზრი და პრესის დღესასწაული ჩატარებულ იქნა.

ეს დღესასწაული გამოიხატა მუშათა განსაკუთრებულ კრებებში, რომლებზედაც ლაპარაკი იყო საერთოდ მუშათა პრესის შესახებ, „პრავდა“-ს ისტორიისა და მისი მუშაობის მძიმე პირობების შესახებ. შეკრებილ იქნა აგრეთვე ფული „პრავდა“-ს ძლიერი ფონდისთვის.

მუშათა პრესის პირველ დღესასწაულზე მხურვალე მზრუნველობა გამოიჩინა მუშათა მასებმა თავის გაზეთისადმი ხოლო ვინაიდან კრებებზე სცდილობდენ გამოსვლას მენშევიკებიც, მუშათა პრესის დღესასწაული გადაიქცა ბოლშევიკური პროგრამის პროპაგანდისა და ტაქტიკის დღეთ.

ამ დროიდან ე. ი. 1912 წლის 5 მაისიდან რუსეთის მუშები ყოველ წლიურად დღესასწაულობდენ პრესის დღეს. მაგრამ ამ დღესასწაულს მსოფლიო ომის მძიმე პირობებში არ შეეძლო მიეღო ფართე ხასიათი. და მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი მისი სათანადოდ ჩატარება.

დღეს საბჭოთა კავშირში ჩვენ განვაგრძობთ ამ დღის დღესასწაულობას. ამ დღეს ჩვენ ვიგონებთ მუშათა პრესის ისტორიას; ეს ხომ მეტად საგულისხმიერო შემადგენელი ნაწილია მთელი რევოლიუციონური მოძრაობისა. ამ დღეს ჩვენ ვაპყრობთ ყველა მშრომელთა ყურადღებას ჩვენს თანამედროვე პრესისაკენ, რომელიც ან ჟამად ახორციელებს გაცილებით ფართე ფარგლებში იმ საქმეს, რომელიც დაიწყო არალეგალურმა ბოლშევიკურმა პრესამ და ლეგალურმა „პრავდა-“მ—რომელიც დაიწყო ბოლშევიკურმა პარტიამ.

**დანსკი.**

## ახალი რადიო-ამბები

### პირველი მაისის დღესასწაულები ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

#### გერმანიაში.

გერმანიაში პირველი მაისის დღესასწაული ნაკლები სიცხოველით ჩატარდა წვინემ გასულ წელს.

ადგილი ჰქონდა შეტაკებებს. ბადენში ტევტონელები თავს დაესხენ დემონსტრაციას, რომელშიაც მონაწილეობდენ სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები.

გალლში შეტაკების დროს დაჭრილ იქნა თერთმეტი კაცი.

#### ინგლისში.

დემონსტრაციები მოხდა მხოლოდ ლონდონში. პროვინციებში დემონსტრაციები დანიშნული იყო 3 მაისისათვის.

მიუხედავად ცუდი ამინდისა დემონსტრაციაში მონაწილეობდა 10000 კაცი.

ლანსბერისა და ბენ ტილეტის მეთაურობით 2.000 კაცი გაემართა ბულგარეთის მისიასთან.

დეპუტაციამ ინგლისის მუშათა სახელით პროტესტი განუცხადა მისიას ცანკოვის მიერ ბულგარეთის მუშათა დევნის წინააღმდევ. მისიის წარმომადგენელი პეტროვი სცდილობდა გაებათილებია ინგლისის მოწამეთა ანგარიშები, მაგრამ ბენ ტილეტმა წინადადება შეიტანა, რათა ნება მიეცეს ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციას ინახულოს ბულგარეთი და გამოარკვიონ სიმართლე. პეტროვმა აღუთქვა, რომ ის მხარს დაუჭერს ამ წინადადებას ბულგარეთის მთავრობის წინაშე.

#### პრაგაში.

პრაგაში მანიფესტაციაში მონაწილეობას ღებულობდა 50.000-ზე მეტი კაცი. მანიფესტანტების დიდი უმეტესობა მიყვებოდა კომუნისტების დროშებს. კომუნისტების მიტინგები იშვიათი წარმატებით ჩატარდა.

მრავალ ადგილებზე არ შემდგარა სოციალისტების მიტინგები, ვინაიდან მუშები მასიურად მიდიოდენ კომუნისტების მიტინგებზე.

## პრესა კავშირია პარტიასა და მასებს შორის.

მუშკორთა და სოფლკორთა მოძრაობა ერთ-ერთი ძლიერი და მრავალ-შტოვანი ფორმაა პარტიასა და მასებს შორის კავშირისა.

მუშკორები და სოფლკორები უშუალოდ სცხოვრობენ და მუშაობენ მუშათა და გლეხთა მასებში; ისინი არიან საბჭოთა და პარტიულ ამოცანების გამტარებლები მშრომელთა მასებში.

მეორეს მხრივ, იციან რა მუშათა საერთო ცხოვრების ქარხნისა და სოფლის განწყობილება, მოთხოვნილება, ინტერესები და ყოფაცხოვრება, მუშკორები და სოფლკორები მუდმივად აწვდიან ცნობებს პრესას და—მისი საშუალებით—პარტიას—მუშებისა და გლეხების ამ განწყობილებებისა და და პირობების შესახებ.

ამით ისინი ხელს უწყობენ დაუკავშირონ პარტიის საერთო პოლიტიკა პროლეტარულ ქალაქისა და მშრომელი სოფლის საარსებო მოთხოვნილებებს.

ამ მოსაზრებით მკითხველთა წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. ისინი არსებითად დიდ გავლენას ახდენენ საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

ჩვენ ვიცით, რომ 1921 წელში, პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ გავლენა მოახდინა გლეხების წერილებმა გაზეთ „ბედნოტა-ში“, რომლებსაც (წერილებს) დიდი დაკვირვებით სწავლობდა ამხ. ლენინი.

მკითხველთა წერილები ჩვენი პრესისთვის მეტად დამახასიათებელი ფორმაა უპარტიო მშრომელთა კავშირისა პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებასთან. მკითხველთა წერილებს ბურჟუაზიული პრესაც ღებულობს, მაგრამ, რასაკვირველია, მცირე რაოდენობით, ვინემ ჩვენი საბჭოთა პარტიული პრესა (მარტო ჩვენი ცენტრალური „Крестьянская газета“—გლეხთა გაზეთი—ღებულობს თვეში გლეხებისაგან დაახლოებით 40.000-მდე წერილს). გარდა ამისა თვით მკითხველთა წერილების ხასიათი და მნიშვნელობა ბურჟუაზიულ და ჩვენს გაზეთებში სრულიად სხვა და სხვაა. იმ დროს, როცა ბურჟუაზიულ პრესაში ყველა ეს წერილები იწერება მეტ ნაწილად „რედაქციის საყურადღებოთ“, ჩვენი პრესა თავისი ფურცლების მომეტებულ ნაწილს უთმობს თავის მკითხველთა წერილებს.

ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოში მუშისა და გლეხი-მკითხველის ყოველი წერილი ხომ გამოძახილია პარტიის გადაწყვეტილებებზე, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებზე, ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობაზე. გაზეთის წერილების საშუალებით ათასობით ეზიარებიან მშრომელები საზოგადოებრივ შემოქმედებითი მუშაობას და ხდებიან საბჭოთა სახელმწიფოს ამშენებლობის აქტიური მონაწილეები.

დღეს, როცა პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ყურადღება მიმართულია იქეთ, რათა განმტკიცებულ იქნას კავშირი გლეხობასთან, პრესა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას ამ მიზნისაკენ. გლეხთა პრესის სწრაფი ზრდა უზრუნველყოფს პარტიისა და ხელისუფლების იდეებისა და ლოზუნგების გავრცელებას სოფლად.

იმავე დროს სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის შეუკავებელი ზრდა ჰბადებს უშუალოდ გლეხთა მასებში ინფორმაციების ცოცხალ ნაკადულს სოფლის შესახებ.

საიდუმლო ფურცლებიდან გაზეთების სრულ სისტემისაკენ, რომლებიც დანიშნულია მუშებისა და გლეხების ფართე მასების სარგებლობისათვის—ასეთია ჩვენი პრესის გზა.

პროლეტარული რევოლიუციის ამოცანებზე სამსახური, პარტიის მასებთან დაახლოების საქმეში მუშაობა—აი ის დანიშნულება, რომელსაც ჩვენი პრესა ასრულებდა დღემდის და მომავალშიაც აასრულებს.

**ს. ინგულოვი.**

# კედლის გაზეთების გამოფენის შედეგები.

(საკონკურსო ჟიურის დადგენილება.)

ტფილისის გარნიზონის კედლის გაზეთების გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სულ 55 ცალი სხვა და სხვა გაზეთი, რომელთა შორის ქართულ ენაზე იყო—7, გუნდის—10 და სხვა გარნიზონებიდან—4.

გაეცნო რა გამოფენილ გაზეთებს, საკონკურსო ჟიური ხელმძღვანელობდა შემდეგით:

რამდენად სრულიად და ყოველმხრივად აშუქებს გაზეთი თავის ნაწილის ცხოვრებას, რამდენადაა ის წითელ-არმიელისათვის გასაგები, რამდენად შესძლო გაზეთმა შემოეკრიბა თავის გარშემო წითელ-არმიელთა აქტივი, რამდენად უწყობს „გაზეთი ხელს ნაწილის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებას და როგორია კედლის გაზეთის გარეგანი სახე.

ამ მოთხოვნილებათა მიხედვით საკონკურსო ჟიურიმ დაადგინა იცნოს საუკეთესოდ შემდეგი კედლის გაზეთები: „Часовой Революции“ — რევოლიუციის გუშაგი (სადარაჯო ათასეულიდან), „ლეგიონერის ხმა“ (მეექვსე ტერლეგიონი, ქართულ ენაზე), მე-9-რე არტლეგიონის მესამე ასეულის კედლის გაზეთი და „Молодой Ленинец“—ახალგაზრდა ლენინელი (ტფილისის ქვეითთა სკოლიდან).

ჯილდო საუკეთესო გაზეთზე ნაწილდება ასე: 1-ლი ჯილდო—პატარა ბიბლიოთეკა სამხედროთა მუშაობისა და კედლის გაზეთების შესახებ—გაზეთი „Часовой Революции“-ს.

მეორე ასეთივე ჯილდო ეძლევა გაზეთ „წითელი არმიელის“ რედაქციისაგან კედლის გაზეთ „ლეგიონერის ხმას“.

მეორე პრემია-„Рабоче Крестьянский кореспондент“ „მუშურ-გლეხური კორესპონდენტი“ 1 წლით ეძლევა მე-9-ე. არტ. ლეგიონის მე-3 ეასეულის კედლის გაზეთს.

მესამე ჯილდო—„კრასნი ვოინი“ და „კრასნი ბოეცი“ 3 თვით—კედლის გაზეთ „Молодой Ленинец“-ს.

გარდა ამისა საკონკურსო ჟიური საჭიროდ სთვლის აღნიშნოს „Красный путь чекиста“—ჩეკისტის წითელი გზა (ამიერ. კავ. საგ. კომ. მე-8-ე ლეგიონიდან) და „Аавтомобилист“—ავტომობილისტი (ავტოპარკიდან), რომლებიც იმსახურებენ ყურადღებას. ორიგინალურია თავის გარეგნობით კ. წ. დრ. არმიის პოლიტსამართველოს შტაბის კოლექტივის ქალთა ორგანიზაციის კედლის გაზეთი (კედლის გაზეთი-ქალის ფიგურა.)

როგორც კედლის გაზეთის სუსტი ნიმუში გარეგნობის მხრივ საკონკურსო ჟიური საჭიროთ სთვლის აღნიშნოს გაზეთი „Красный Радист“-ი (რადიო ათასეულიდან), რომელიც თავისი სიდიდითა და მასალების დალაგებით მეტად ცუდი საკითხავია.

**საკონკურსო ჟიური:**
**ანჩარსკი, ჩანტლაძე, ისაევი, ბრიჩევი, სოკოლოვი, კაზლოვი, ნიკიფოროვი.**

# ლენინი და პრესა.

## პრესა კოლექტიური ორგანიზატორია.

მასიური მუშათა პრესა იზრდება მუშათა მასიურ მოძრაობასთან ერთად. ჯერ-ჯერ მომუშავე წრეებში აგიტაციის საუკეთესო საშუალება იყო საიდუმლო ფურცელი. პეტერბურგის „მუშათა განთავისუფლების ბრძოლის კავშირი“ ყველაზე უფრო იჭერდა კავშირს ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან ფურცლებისა და ლენინის ბროშურების საშუალებით.

მეტად დამახასიათებელი რამ არის ამ დროისთვის ის მოვლენა, რომ „ბრძოლის კავშირის“ ფურცლებმა თვით მუშათა დიდძალი წერილები და კორესპონდენციები მიიზიდა. ეს იყო მუშკორთა ქსელის პირველდაწყებითი ფორმა. ამ კორესპონდენციებს დიდ მნიშვნელობას აძლევდა ლენინი, რომელიც მათში ხედავდა კაპიტალიზმისაგან „მუშათა თავდაცვის“ აუცილებელ ფორმას და საუკეთესო საშუალებას პროლეტარების კლასობრივი შეგნების ასამაღლებლად.

ეს აზრი ლენინმა გადმოსცა წერილში—„საიდან უნდა დავიწყოთ?“ „გაზეთის როლი-სწერდა ის—არ განისაზღვრება მარტო იდეების გავრცელებით, მარტო პოლიტიკური აღზრდითა და პოლიტიკური მოკავშირეების მიზიდვით. გაზეთი არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორია, არამედ კოლექტიური ორგანიზატორიც.“

## პრესა მუშათა მასების ხმაა.

უკვე 1904 წ. ლენინი ფიქრობდა ბოლშევიკების გაზეთ „Вперед“-ის (წინ) გადაქცევის შესახებ მასიურ მუშათა გაზეთად, რომელშიაც ითანამშრომლებდენ მომეტებულად თვით მუშები.

1904 წლის დეკემბერში ცეკას წევრის—ამხ. გლებოვ ნოსკოვს ლენინი ატყობინებდა წერილით მზადების შესახებ გაზეთ „ვპერიოდის“ გამოსაცემად და სწერდა:

„ეს გაუგებრობაა, ვითომც მხოლოდ ლიტერატორებს (ამ სიტყვის პროფესიონალური მნიშვნელობით) შეეძლოს წარმატებით მონაწილეობა ორგანოში; პირიქით ორგანო ცოცხალი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა 5 ხელმძღვანელსა და მუდმივ თანამშრომელ ლიტერატორებზე მოვა ხუთი ათასი არა ლიტერატორი მომუშავე“.

თუ რა მნიშვნელობას აძლევდა ლენინი მუშათა წერილებს, ცნობებსა და კორესპონდენციებს, ეს სჩანს ლენინის იმავე წერილის შემდეგი ადგილიდან:

„სოციალ-დემოკრატიულ *) გაზეთზე უნდა მუშაობდენ ყველა სოციალ—დემოკრატები. ჩვენ ვთხოვთ ყველას, განსაკუთრებით მუშებს, მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები. მიეცი ფართე საშუალება მუშებს სწერონ ჩვენს გაზეთში, სწერონ ყველაფერზე, სწერონ რაც შეიძლება თავის ყოველ-დღიურ ცხოვრებიდან, თავიანთ ინტერესებსა და მუშაობაზე,—თუ ასეთი მასალა არ დაურია გროშად არ ეღირება სოციალ—დემოკრატიული ორგანო“

ლენინის ამ იდეამ ჰპოვა თავისი რეალური განხორციელება მხოლოდ 1910—14 წლებში, როცა პარტიას მიეცა საშუალება გამოეცა ლეგალური მუშური პრესა რუსეთში. „ზვეზდა“-მ და „პრავდა“-მ არამც თუ იდეურად მიიზიდეს მუშათა მასები, არამედ აასრულეს უმთავრესი საორგანიზაციო ამოცანაც შეიყვანეს ბოლშევიზმის რიგებში პროლეტართა მნიშვნელოვანი კადრები, რომლებმაც შემდეგში თვალსაჩინო როლი ითამაშეს ჩვენი პარტიის ცხოვრებაში.

ლენინი ყოველდღე აგზავნიდა წერილს „პრავდაში“, ვინაიდან მან იცოდა, რომ გაზეთზე უფრო ხმა მაღლა ვერავითარ სხვა „საშუალებით ვერ ელაპარაკები მუშას რევოლიუციონურ ბრძოლის შესახებ.

ლენინი დაუღალავად ხელმძღვანელობდა „პრავდა“-ს ორგანიზაციულ—პრაქტიკულ მუშაობას, თანდათანობით ხდიდა გაზეთს პარტიის ორგანიზაციულ ცენტრად და პროლეტარიატის რევოლიუციონურად წყობილ მასების ყავარჯენად. „პრავდა“ შევიდა ჩვენი პარტიის ისტორიაში როგორც სახელოვანი ფურცელი იმიტომ, რომ ის მისდევდა ლენინის ბრძნულ დარიგებებს და სწორად გაიგო თავისი—მუშათა მასების ორგანიზატორის როლი.

## პრესა კლასობრივი ბრძოლის იარაღია,

სავსებით აშკარად განმარტა ლენინმა პრესის როლი მუშათა კლასის ხელში თავის ბროშურაში-**„სახელმწიფო და რევოლიუცია“**,—რომელშიაც ის პრესას უპირდაპირებს სახელმწიფოს ისეთ საფუძვლებს, როგორიცაა სასამართლო, სკოლა და სხვა.

თეზისებში „ბურჟუაზიულ დემოკრატიისა და პროლეტარულ დიქტატურის შესახებ“, რომელიც დაწერილი იყო კომინტერნის პირველი კონგრესისათვის ამხ. ლენინი ამბობს:

„პრესის თავისუფლება“ წარმოადგენს „წმინდა დემოკრატიის“ ერთ-ერთ უმთავრეს ლოზუნგს.

მუშებმა მაინც იციან და ყველა ქვეყნების სოციალისტებმაც კი აღიარეს მილიონჯერ, რომ ეს თავისუფლება ტყუილია, სანამ საუკეთესო სტამბები და ქაღალდის დიდძალი მარაგი კაპიტალისტების ხელშია და სანამ კაპიტალი ბატონობს პრესაზე, რომელიც (კაპიტალის ბატონობა) მით უფრო სასტიკი და ულმობელია, რამდენადაც განვითარებულია დემოკრატიზმი და რესპუბლიკანური წესწყობილება, როგორც მაგალითად, ამერიკაში.

რათა მოპოებულ იქნას მშრომელთათვის ჭეშმარიტი თანასწორობა და ნამდვილი დემოკრატია, უნდა წაერთვას კაპიტალს მწერალთა დაქირავების, გამომცემლობის ყიდვისა და გაზეთების მოსყიდვის საშუალება; ამისათვის საჭიროა კაპიტალის უღლის მოშორება, მყვლეფელთა დამხობა და მათი წინააღმდეგობის განადგურება. კაპიტალისტები „თავისუფლებას“ ეძახიან „მდიდართა გაბატონების თავისუფლებას“.

## პრესა სამეურნეო აღმშენებლობის იარაღია.

რევოლიუციის წლებში ლენინი არა ერთხელ შეჩერებულა იმ საკითხზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პრესა მუშათა კლასის, რომელიც შეუდგებოდა თავისი დიქტატურის განხორციელებას.

პირველად ლენინი მოითხოვდა ჩვენი პრესისაგან, რათა მას აესახა ჩვენი თანამედროვეობა ისე, როგორც იყო ის.

ვლადიმერ ილიჩი მიუთითებდა, რომ პრესამ უნდა აწარმოოს გამომააშკარავებელი ბრძოლა პატივმოყვარეობის, სიზარმაცის, სიმხდალის და მუშათა იმ ჩამორჩენილ ფენების წინააღმდეგ, რომლებიც ბრმად მისდევენ კაპიტალიზმის ტრადიციებსა და ჩვეულებებს“

ლენინი მტკიცედ იბრძოდა ნაკლისა და სისუსტის მიჩქმალვის წინააღმდეგ ჩვენს საბჭოთა მექანიზმში და მეურნეობაში. ლენინი გვასწავლიდა თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო თავისუფლება მუშათა პრესის, თავისუფლება პროლეტარული კრიტიკის.

ათი და ასიათასი მუშკორი, სოფლკორი და სამხკორი, მილიონობით წერილები და კორესპონდენციები, რომლებიც უშიშრად აღნიშნავენ ჩვენს ნაკლსა და მტკივან ადგილებს,—ჰხდიან დღეს ჩვენს პრესას მშრომელთა მასების საჭიროებისა და განწყობილების ჭეშმარიტ გამომხატველად. იმავე დროს ჩვენი პრესა რჩება ძლიერი ორგანიზატორი და მასების შემომკრები და მეტსა და მეტ ფართე მასებს იზიდავს ის საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ჩვენმა საბჭოთა პარტიულმა პრესამ შესძლო შეეთვისებია ლენინის შეხედულება პრესაზე.

**ს. ინგულოვი.**

*) კომუნისტების პარტიას წინად ეწოდებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტია.

## ამერიკაში.

უორკერს პარტიმ და პროფკავშირთა მემარცხენე ფრთამ ჩაატარეს პირველ მაისს მთელს სახელმწიფოში მრავალი მიტინგები. მიტინგებზე გამოჰქონდათ რეზოლიუციები, რომლებშიაც მოითხოვდენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

## იაპონიაში.

ტოკიოს ქუჩებში გაიმართა იაპონელთა და კორეელთა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობდა 20.000-ზე მეტი კაცი.

დემონსტრანტებს მიჰქონდათ წითელი დროშები და პლაკატები სხვა და სხვა მოთხოვნილების წარწერით.

ბოლოს გაიმართა მიტინგი.

მიტინგის მონაწილეები წინასწარ გაჩხრეკილ იქნა პოლიციის მიერ.

აღსანიშნავია ის, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობდა 500 მუშა ქალზე მეტი. ქალთა დიდი რაოდენობა არ იქნა დაშვებული პოლიციის მიერ.

დაპატიმრებულია 200-ზე მეტი მუშათა ბელადი.

იოკოგამაში დემონსტრაციაზე მონაწილეობდა რამოდენიმე ათასი მშრომელი.

ოსაკაში მონაწილეობდა 15 ათასი მუშა.

დანარჩენ ქვეყნებში დღესასწაული ჩვეულებრივად ჩატარდა.

# ჰინდენბურგის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ

ვოლფის სააგენტოს ცნობით ჰინდენბურგის მიერ პრეზიდენტის თანამდებობის მიღებისა და მის მიერ კონსტიტუციისადმი ერთგულების ფიცის ცერემონია დანიშნულია 12 მაისისათვის.

გაზეთების ცნობით ჰინდენბურგი უცვლელად დასტოვებს ყოფილ პრეზიდენტ ებერტის სეკრეტარიატის მთელ შემადგენლობას.

# მიულოცეს ერთმანეთს

მარქსმა გაუგზავნა ჰინდენბურგს წერილი და მიულოცა მას პრეზიდენტობა.

ჰინდენბურგმა თავის საპასუხო წერილში მადლობა გამოუცხადა მარქსს.

ჰინდენბურგი ამ წერილში ამბობს, რომ თქვენ (მარქსს) რომ გაგემარჯვებიათ არჩევნებში მეც მოგილოცავდით.

# ეშინიათ კაშენის.

ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა აუკრძალა ბელგიაში შესვლა საფრანგეთის კომუნისტ კაშენს, რომელიც უნდა გამოსულიყო კომუნისტურ მიტინგზე ბრიუსელში (ბელგიაში).

# ვერ მოახერხეს მთავრობის შედგენა.

ბრიუსელიდან (ბელგია) იტყობინებიან, რომ დე-ბროკველმა უარი განაცხადა მთავრობის შედგენაზე, რადგან მოლაპარაკებამ, რომელსაც ის აწარმოებდა ამ მიზნით არავითარი დადებითი შედეგი არ მოიტანა.

# პოლონეთის კარებთან ლიანდაგზე გადავარდა გერმანიის მატარებელი.

## მოკლულ-დაჭრილთა რიცხვი 80 კაცს უდრის.

### დაიღუპა კომუნისტური გაზეთის რედაქტორი ნეიმანი.

ვოლფის სააგენტოს ცნობით ჩქარი მატარებელი **ეიკუნენ—ბერლინი** ლიანდაგიდან გადავარდა პოლონეთის კარებთან სვაროშტასა და შტარგარდს შორის.

ორთქლმავალი და რამოდენიმე ვაგონი გადაეშვა ფერდობში. მოკლულია 30 კაცი, დაჭრილია 40.

მატარებლებზე, რომლებიც გადიან პოლონეთის კარებთან მუშაობენ პოლონეთის რკინის გზის მოსამსახურეები.

ამ კატასტროფის დროს დაიღუპა კენიგსბერგის კომუნისტური გაზეთის მთავარი რედაქტორი ნეიმანი.

# აფეთქება პოლონეთში.

ორ მაისს დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის დეპუტატთა კლუბისა და გაზეთ „ვოლე ლიუდუ“-ს შენობაში მოხდა აფეთქება. დაიჭირა გაზეთის რედაქტორი ვიაჩესლავ ტროიანოვსკი.

გაზეთების ცნობით ტროიანოვსკის ბინაზე აღმოჩენილ იქნა წამალი და პიროქსილინი და, რომ ტროიანოვსკის ხელში გაუსქდა ფისტონაო.

ტროიანოვსკიმ განაცხადა, რომ ის ამტვრევდა ნაპოვნ გრანატასო.

მემარჯვენე გაზეთები ბრალს სდებენ ტროიანოვსკის, რომ ის ამზადებდა ბომბას მაისის დღესასწაულზე მკვლელობის მოწყობის მიზნითო. ამას გარდა გაზეთები აღნიშნავენ, რომ ტროიანოვსკი ბაგინსკის მეგობარი იყოვო.

# ტერორი ესტონეთში.

ესტონეთის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა მიულბტერს და ლინუს ექვს-ექვსი წლის ციხე, რადგან მათ თავი შეაფარებიეს აჯანყების მონაწილეთ.

რეველის ქალაქის საბჭოს ხმოსანს რაუტსენს მიუსაჯეს 4 წლის ციხე კომპარტიის წევრობისათვის.

რაუტსენს ბრალი ედებოდა მასში, რომ მან ქალაქის საბჭოში, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ფეხზე ადგომით პატივი არ სცა აჯანყების ჩამქრობ დაღუპულთა ხსოვნას.

# სამხედრო საქმე
## წვევამდელთა მომზადება.

მშრომელთა სამხედრო მომზადება მდგომარეობს წვევამდელთა, გაწვევის დროს დარჩენილთა და განსაკუთრებით სათადარიგო მეთაურთა შემადგენლობის სწავლებაში.

სხვა და სხვა მიზეზების, უმთავრესად, მასწავლებელ მეთაურთა შემადგენლობისა და მატერიალურ საშუალებათა სიმცირის გამო, ამ წელში ტარდება მხოლოდ წვევამდელთა მომზადება.

არსებულ კანონების მიხედვით წვევამდელთა მომზადება იყოფა სამ პერიოდად: პირველ პერიოდში შედის წინასწარი მომზადება, მეორეში თვით წვევამდელთა მომზადება, მესამეში—სამხედრო მომზადება.

წინასწარ პერიოდში 16-19 წლიანი მოქალაქეები გადიან მომზადებას, რომლის მიზანია უმთავრესად ფიზიკური აღზრდა, საერთო განათლება და აგრეთვე გზადაგზა სამხედრო საქმეზე ზოგადად გაცნობა. ეს მომზადება ტარდება საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების ძალებითა და საშუალებებით სამხედრო უწყების საერთო ხელმძღვანელობით.

თვით წვევამდელთა მომზადებას,—რომლის ამოცანა არის მეომრის სათითაოდ მომზადება, რომელსაც შეეძლებოდეს დამოუკიდებული მოქმედება განყოფილებისა და მწყობრის შემადგენლობაში,—ატარებს წითელი არმია.

აი სწორედ წვევამდელთა მომზადების ამ ნაწილზე ვილაპარაკებთ ჩვენ.

წრეულს წვევამდელთა მომზადებაში ჩაბმული იქნება მორიგი ჰასაკი, რომელიც ა. წ. ოქტომბერში გაწვეული იქნება წითელი არმიის რიგებში, სახელდობრ: 1903 წ. დაბადებული მოქალაქეები და 1904 წ. დაბადებული წვევამდელები, რომელთაც ამა წლის 1-ლ ივლისისთვის შეუსრულდებათ 21 წელი.

მატერიალური საშუალებანი ჩვენ არ გვაძლევს ფართედ აწარმოოდ წვევამდელთა მომზადება ჩვენი კავშირის მთელ თვალუწვდენელ ტერიტორიაზე. აი რატომ იქნა გადაწყვეტილი ჩატარდეს ეს მომზადება ჯერ ტერიტორიალურ და ძირითად ნაწილების სამყოფ რაიონებში და შემდეგ კი დანარჩენ რაიონებშიც.

როგორ უნდა სწარმოებდეს წვევამდელთა მომზადება?

ჩვენი სახელმწიფოს უმთავრესი საზრუნავი ის არის, რათა დიდი ხნით არ იქნან მოწყვეტილი წვევამდელები თავიანთ მშვიდობიან და მუდმივ შრომას. ამისათვის სწავლების ადგილები (სამოსწავლო პუნქტები) ინიშნება იმ ანგარიშით, რათა უშორეს მანძილზე მოსახლე წვევამდელი სცხოვრობდეს არა უშორეს 12—15 ვერსისა. სამოსწავლო პუნქტი წარმოადგენს სამეცადინო და საცხოვრებელ ბინას. ის მომარაგებულია იარაღით, სხვა და სხვა სამოსწავლო სახელმძღვანელოებით, ხელსაწყოებით და სხვა.

სამოსწავლო პუნქტი ჩვეულებრივად ეწყობა სამხედრო ნაწილებთან ხოლო იქ, სადაც სამხედრო ნაწილები არ არიან,—პუნქტი ეწყობა კლუბთან, ქოხ სამკითხველოსთან, სახალხო სახლთან და სხვა კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

ქალაქებში კი, მსხვილი ქარხნები, ფაბრიკები და სამრეწველოები აწყობენ თავიანთ სამოსწავლო პუნქტებს.

ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით წვევამდელები შეიკრიბებიან სამეცადინო პუნქტზე რამოდენიმე დღით (მ. გ. 5—10—14 დღით), შემდეგ ხდება ცოტახნით შესვენება, რათა წვევამდელი დაბრუნდეს სახლში, მოაწყოს თავის საქმეები, მომარაგდეს სურსათით და კვლავ დაბრუნდეს პუნქტზე.

წვევამდელთა მომზადება სწარმოებს ერთი წლის განმავლობაში. ამ მომზადებას ეთმობა 280 საათი.

ამ რიგად მომზადება ტარდება ხანგამოშვებით შეკრების წესით, და მისი (მომზადების) მთელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს თვე ნახევარს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს რომ ამა წლის და მომავალი წლების სამეცადინო ახალი პროგრამა საგრძნობლად არის შემცირებული წინა წლებთან შედარებით (420 საათის მაგივრად შემოღებულია მხოლოდ 280 საათი).

ეს პროგრამა მიზნად ისახავს წვევამდელიდან—ცალკე, შეგნებული მეომრის გამომუშავებას, მის პოლიტიკურად აღზრდას და ფიზიკურ მომზადებას.

სათითაო მომზადების უმთავრესი მიზანია იარაღის ხმარებისა და ცალკეული სროლის შესწავლა.

პ.




## პირველი დივ. სამოსწავლო სამჭედურის მსმენელთა გამოშვება

28 აპრილს 1-ლ ქართულ დივიზიის სამოსწავლო სამჭედურმა უკანასკნელად გამოუშვა 19 წ.-არმიელი.

მათ შორის, დივიზიისადმი ბრძანებით დანიშნულ კომისიის წინაშე 10 წითელ-არმიელმა ბრწყინვალედ ჩააბარეს გამოცდები, როგორც პრაქტიკაში ისე თეორიაში. დანარჩენმა 9 წ.-არმიელმა კი დამაკმაყოფილებლად.

სამჭედურმა იმეცადინა სულ 7 თვე. ამ ხნის განმავლობაში მეცადინეობას დიდათ უშლიდა ხელს დივვეტლაზარეთის გადაბარება—ჩაბარება და ბოლოს მისი სრულიად ლიკვიდაცია, რომელთანაც არსებობდა სამჭედური; მიუხედავათ ამისა ამ ბოლო ხანებში გაორკეცებულ ენერგიის და დაუზარებელ მუშაობის მეოხებით სამჭედურის გამგემ, ხელმძღვანელმა და ვეტექიმ ამხ. ფერაძემ პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა.

ამ მუშაობამ ქართულ ლაშქარს შესძინა 19 მცოდნე მჭედელი, რომლებიც დაიგზავნენ თავ—თავიანთ ნაწილებში.

სასურველია ვეტპერსონალმა და უფშემადგენლობამ ნაწილებში ყურადღებით მოეპყრან ამ ახალგაზრდა მჭედლებს, რომელთაც შეუძლიანთ დიდი სარგებლობა მოუტანონ ჯერ წ. არმიის ლაშქარს და შემდეგ სოფლის მეურნეობას.

აქეთკენ მიუთითებდა ვეტექიმ ფარეიშვილის სიტყვაც, რომლითაც მან მიმართა სამჭედურ დათავებულ ამხანაგებს.

დამსწრე.

## გაზაფხული.

გული იცინის!
აიხსნა ფრთები
და ამეტყველდა,
ცეცხლით დასერა
ზამთრის სიმღერა,
მოჰკლა ნაღველი
გაჰფანტა სევდა.
გული იცინის!
ცეცხლის ნიავი
ფერ აყრილ იებს,
გულს ჩაეკონა
მიუალერსა
დილის ნამიდან
გულ განაციებს.

გული ზეიმობს!
ცეცხლის ფარჩები
რთავს მინდორ-ველებს,
და ახმაურებს
მგოსნურ რითმებით,
წითელ ნოველებს.
გული ზაფხულობს!
მივილტვი ველათ —
დავათრო გრძნობა.
მოკვდა ზამთარი,
გაზაფხულია
ობაა, ობა.

გოგიტო ციმბირელი.

## სიზარმაცით საქმე არ გაკეთდება.

### უნცროს მეთაურთა საარტ-სკოლა.

სკოლის მწყობრებში ჩვეულებრივი წესით დანიშნული არიან ჯგუფის თავები, რომლებსაც ევალებათ თავთავიანთ მწყობრიდან ერთ წითელ არმიელს მიანდონ საერთო ქვაბიდან მწყობრისათვის სადილის მიღება, რომლებიც შემდეგ დაურიგებენ არმიელებს.

საუბედუროდ ეს უბრალო საქმე დღემდე ვერ მოწესრიგებულა. მიზეზი კი არიან ჯგუფის თავები, რომლებსაც უყურადღებობის გამო ვერ გამოუყვიათ არმიელები სადილის მისაღებად.

სადილი ხშირად მიუღებელი რჩება.

იძულებულია ისეთი წავიდეს სადილისათვის, რომლებსაც არავითარი დავალება არ ჰქონია, და არ იცის თუ ვისთვის მოაქვს ის. ბევრი უსადილოთაც რჩება ამ უთავბოლობის გამო.

საჭიროა ამხ. ჯგუფის უფროსებმა პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, თორემ ასეთ უწესრიგობას ბოლო არ მოეღება.

სამხკორი ბაშელი.

## ჩვენს დაჰაარსეთ ქიმიის მოყვარულთა საზოგადოება.

### მეექვსე ლეგიონი.

ერთ თვეზე მეტი იქნება, რაც ჩვენს ლეგიონში ჩამოყალიბდა ქიმიის მოყვარულთა საზოგადოება. ყოველ კვირაში ორჯერ იმართება საზოგადოების სხდომები, რომლებზედაც წითელ არმიელების შემადგენლობა ეცნობა ქიმიის მნიშვნელობას სამხედრო საქმეში.

საზოგადოებას აქვს საუცხოვოდ მოწყობილი, ქიმმოყვარეთა კუთხე, ქიმიური ლიტერატურით. ლიტერატურას ბლომად გვაწვდის აგრეთვე ლეგიონის ბიბლიოთეკა.

ამხანაგები ხშირად იყრიან თავს კუთხეში, საუბრობენ ქიმიური მნიშვნელობის საკითხების გარშემო და პრაქტიკულად ეცნობიან სხვა და სხვა ქიმიარაღების მოხმარას.

წითელ არმიელების ასეთი ინტერესი წინ სწევს ჩვენს მუშაობას.

საზოგადოების წევრთა რიცხვი თანდათან მატულობს. ამჟამად ის აღწევს ორმოცდაათამდე.

ამნაირად ქიმიურ დავდაცვითი საზოგადოებისადმი ინტერესმა ჩვენთანაც ძლიერ მოიკიდა ფეხი და იმედია თუ ის ამ მხრივ არ გაასწრებს სხვა ნაწილებს უკან არ ჩამორჩება მაინც.

წ. არმ. ი. გორდაძე.

## სროლა აინტერესებთ.

### 5-თე ლეგ. 2 რე ასეულის წვევამდელები.

მეორე ასეულის წვევამდელებთან უკვე დამთავრდა მოცემული სამეცადინო პროგრამის გავლა და ამჟამად მეცადინეობა სწარმოებს სროლაში.

წვევამდელები დიდი ინტერესით და ენერგიულად ეკიდებიან ამ საქმეს. შედეგები დამაკმაყოფილებელია. საერთოდ მეცადინეობა წარმატებით მიმდინარეობს ყველა დარგებში.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები გვქონდებოდა წინ, მეცადინეობა ერთი წუთიდაც არ შეწყვეტილა და წერტის მეთაურების შრომას ფუჭათ არ ჩაუვლია.

სამხკორი მებრძოლი.

## ესეც ქსენონია!

### პირველი საარტდივიზიონი.

შეხვალთ თუ არა ჩვენს ქსენონში, უცნაური სანახაობა წარმოგიდგებათ თვალის წინ.

ზოგიერთ ავადმყოფს თავი ქვევით აქვს და ფეხები მაღლა, ზოგი ზის და ვერ გამართულა, ზოგიერთს კიდევ მარტო მუცელიდა უჩანს.

საწოლები ფიცრის მაგივრად ჩაბმული არიან მავთულებით, ზევიდან გადადებული აქვთ დახეული თივითა და ბზით გატენილი მატრაცები, რომლებიდანაც ავადმყოფის თითეული განძრევის დროს მოცვივის ბზე და თივა.

საღამოობით კი ამბულატორიაში საშინელი წყვდიადია გამეფებული. შესვლისთანავე ხელით გიხდებათ გზის პოვნა და უზრუნველყოფილი არა ხართ რომ თავს არ გაიტეხთ რამეზე დაჯახებით.

მორიგე ექიმების თანაშემწეებს წუმწუმით უხდებათ წამლების ძებნა.

ასე მშვენივრად აქვს მოწყობილი ქსენონი ჩვენს პირველ საარტდივიზიონს.

როდის უნდა მიექცეს ყურადღება ყველასაგან მიტოვებულ ქსენონს?

ნიავი.

## პარტიული ცხოვრება.

### ჩვენი პარტ-საქმიანობა.

26 აპრილს შესდგა მე-6-ე ლეგიონის პირველი კომუჯრედის ღია კრება. უჯრედის პარტ-ამხანაგების გარდა დაესწრენ უპარტიო წითელ არმიელებიც. დღის წესრიგში დასმული იყო მოხსენება პირველ მაისის დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ; უჯრედთან არსებულ საკონსულტაციო ბიუროს თავმჯდომარისა და იგივე ახალგაზრდა კომკავშირის ორგანიზატორის მოხსენება თავის მუშაობის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

პირველი მაისის მნიშვნელობა ვრცლად იქნა გაშუქებული მომხსენებლების მიერ. შემოვიდა მრავალი შეკითხვები დამსწრე წითელ არმიელებიდან, რომლებიდანაც აშკარად სჩანდა მათი ინტერესი მსოფლიო მუშათა დღესასწაულისადმი. რეზოლიუციის სახით დამსწრეთა სრული შემადგენლობა გრძნობით აღნიშნავს დღესასწაულის ისტორიულ მნიშვნელობას და რევოლიუციონურ სიტყვას იძლევა გაათკეცებული ენერგიით შეუერთდეს საერთაშორისო მშრომელი მასის გამოძახილს, უახლოეს ხანებში მსოფლიო კომუნისტური რევოლიუციის მისაღწევად.

საკონსულტაციო ბიუროს და კომკავშირის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შატბერაშვილმა. ბიუროს საქმიანობიდან ირკვევა მისი საერთო იდეური ხელმძღვანელობის სისუსტე. კრებამ იმედი გამოსთქვა, რომ ორი წევრის მომატების შემდეგ, ბიურო უფრო ენერგიულად და მეტი ინტესიური საქმიანობით შეუდგება და შეიკრება წითელი არმიელთა მასაში, მათი ყოფა-ცხოვრების საკითხების გამოსარკვევად და სათანადოთ მოსაგვარებლად.

კომკავშირის მუშაობის შესახებ განმარტებას იძლევა იგივე ამხანაგი: კავშირს ურთიერთობა ჰქონია სამოქალაქო ორგანიზაციასთან. საერთო საქმიანობას და სხვა. თვითს აქტიური წითელი არმიელების მითითებებით გამონაკლის შემთხვევებში ემჩნევა დეფექტები კრებამ დაავალა მათ ხელმძღვანელს წევრთა პარტ-პოლიტ და კულტურულ დარგში აღზრდისათვის მეტ იდეიურ მუშაობა და ხელმძღვანელობა.

დასასრულს მიმდინარე კითხვებში განხილულ იქნა კომკავშირელ და უპარტიო ამხანაგების მიერ პარტიის კანდიდატებათ გადარიცხვისათვის შემოტანილი განცხადებები და თითეული, განსაკუთრებით წითელი არმიელთა მიერ დაწვრილებითი დახასიათების შემდეგ გადაყვანილი იქნენ პარტიის რიგებში.

გ. ლორთქიფანიძე,

## ჩვენც გავხსენით კლუბი.

**მესამე ათასეული.**

მესამე ათასეულის პოლიტშემადგენლობის თაოსნობით ადგილობრივად მოეწყო ათასეულის კლუბი.

დიდი დახმარება გაგვიწია ამ საქმეში სამაზრო ხელისუფლებამაც. მოგვცა შესაფერი ბინა და მატერიალური დახმარება მისი მოწყობისათვის.

ამჟამად კლუბში უკვე მოწყობილია მშვენიერი ლენინის კუთხე, განზრახულია აგრეთვე სამხედრო კუთხის მოწყობა, მაგრამ ამ საქმეს თუ მეთაურთა შემადგენლობამ არ მოჰკიდა ხელი არაფერი გამოვა.

დიდი დახმარება გაგვიწიეს კლუბის მოწყობაში აგრეთვე ზოგიერთმა წვევამდელებმა. საჭიროა მათ საქციელს სხვებმაც მიბაძონ.

თეთრიშვანელი.

## საჭიროა ექსკურსიები.

(ცხენოსანი ლეგიონი.)

ექსკურსიებს დიდი მნიშვნელობა აქვს წითელ-არმიელთა გონებრივად განვითარებისათვის. მეორე მხრივ ექსკურსიების საშუალებით შეგვიძლია ფართოდ გავეცნოთ საბჭოთა სამეურნეო აღმშენებლობასა და სხვა.

მიუხედავად ამისა ცხენოსან ლეგიონში, ექსკურსიების მოწყობას ძლიერ უმნიშვნელო ყურადღება ექცევა, არ არის დაყენებული სასურველად მათი საქმე.

ჩვენს ლეგიონში მრავლად მოიპოვებიან ისეთი წითელ-არმიელები, რომლებმაც ისიც კი არ იციან თუ სად არის რუსთაველის პროსპექტი.

საჭიროა ეს ამხანაგები განთავისუფლოდ სოფლური ჩამორჩენილობიდან და გავაცნოთ ვანახოთ ჩვენი ქვეყანა, მისი შესანიშნავი ადგილები და დაწესებულებები.

პირველ რიგში ლეგიონის მესვეურებმა უნდა დაათვალიერებინოს ასეთ არმიელებს თბილისი, მისი შესანიშნავი ადგილები, ზოოლოგიური და სხვა მუზეუმები, შემდეგ კი უნდა იზრუნონ ზაჰესის ჰიდრო ელექტრონული სადგურის დათვალიერებისათვის.

სამხედრო კლიტე.

## დაგვიხსენით სანიტრების საყვედურებიდან.

საავადმყოფოს მესამე კორპუსის ავადმყოფ არმიელებს ნაკლებად გვექცევა ყურადღება.

ხშირად გვჭირდება საავადმყოფოს კოოპერატივიდან მოვატანინოთ ვინმეს თამბაქო, საწერი ქაღალდი და სხვა, მაგრამ ჩვენთვის ეს თითქმის შეუძლებელი ხდება. სანიტრები არ გვეგზავნებიან კოოპერატივში, ხოლო სხვა არავინ გვყავს.

„ჩვენ ეს არ გვევალებაო“—გაიძახიან ისინი.

ექიმს როდესაც მივმართედ, გვითხრა 3 ში საათის შემდეგ შეგიძლიათ გაგზავნოთო, მაგრამ კორპუსის უფროს უნდა მიმართო პირველად ამის შესახებო. ჯერ-ჯერობით ვერც ეს მოწესრიგდა. თამბაქო და ქაღალდი კი ჩვენთვის აუცილებელია.

მოგვაქციეთ ყურადღება ვისაც ეს გევალებათ და მოაგვარეთ ეს საქმე.

დაგვიხსენით ჩვენი სანიტრების საყვედურებიდან.

წ. არმ. ა. ცქიფურიშვილი.

## საქართველოს უმ. ეკონ. საბჭოში.

**სპირტის საწმენდი ქარხანა.**

საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ ნება დართო კოოპერატივ „მდელოსი“-ს მოაწყოს სპირტის საწმენდი ქარხანა.

**გლეხების მეურნეობის დასახმარებლად.**

საქ. უმ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა საქ. სახელ. საგეგმო კომისიას გამოიმუშაოს პროექტი, საქართველოში სტიქიური მოვლენებისაგან დაზარალებულ გლეხთა მეურნეობების დასახმარებლათ 850 ათასი მანეთის განაწილების შესახებ. აღნიშნული თანხა საქართველოს ხვდა გადადებული 2 მილიონი ფონდიდან.

**ნავთსაცავის გადაცემა.**

საქ. უმ. ეკ. საბჭომ დაადგინა ზაჰესკომს გადასცეს ქუთაისში მდებარე 500 ფუთის დამტევი ნავთსაცავი (ნავთის რეზერვუარი).

**ბორჯომის წყალი.**

საქ. უმ. ეკ. საბჭომ დაამტკიცა დადებული ხელშეკრულება მოქ. ქებაძესა და საკურორტო სამმართველოს შორის ბორჯომის წყლის გავრცელება—გასაღების შესახებ.

**სურამის მადნეულობა.**

სურამის აღმასკომს ნება მიეცა საიჯარო გადასახადის გადაუხდელათ დაამუშაოს სურამის ფარგლებში მდებარე მადნეულობა.

**ზაჰესში მომუშავენი.**

განთავისუფლებული არიან სარეწაო გადასახადისაგან ზაჰესში მომუშავე ყველა ხელოსნები. გადასახადებისაგან განთავისუფლდენ აგრეთვე ის გლეხები, რომლებიც ურმებით აწვდიან ზაჰესს, ნახშირს, შეშას და სხვ.

## ახალი ამბები.

— **სამხედრო კოოპერაცია ძლიერდება.** გასულ საანგარიშო წელს „ევკოგრუზის“ ბალანსი უდრიდა 360.889 მანეთს, წინაამდეგ 1923 წლის 66.462 მანეთის. ამნაირათ კოოპერატივის წარმოება გაზრდილა ხუთნახევარჯერ.

— **ტფ. ქალაქის აღმასკომმა** დაადგინა კომუნალური ბანკიდან მისცეს სასოფლო-სამეურნეო ბანკს სესხათ თავის თავდებობის ქვეშ 50 ათასი მანეთი, სასოფლო-სამეურნეო მუშაობის გასაფართოებლათ.

— **გზების შეკეთება.** ტფილისის აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს კოდა—აღბულაღის გზის შეკეთებას.

— **სესხი ა.-კავკასიის კოოპერაციას.** ა. კ. კოოპერატივთა კავშირის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, შრომისა და თავდაცვის საბჭოს დამატებითი კრედიტის სახით გადაუდევს ა.კ. კოოპერაციის დასახმარებლათ გარდა 625 ათასი მანეთისა კიდევ ექვსასი ათასი მანეთი.

—**ახკომკავშირელების კომუნა.** მიწ.-მოქმ კომისარიატმა სოფ. ბოლნის-ხაჩინში მოაწყო ახკომკავშირელების კომუნა.

## სამხედრო ტრიბუნალი.

29 აპრილს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. გოგიჩაიშვილის თავმჯდომარეობით: განიხილა საქმე ქართულ 1-ლ დივიზიის მესანგრე ასეულის წ. მ. პეტრე დავითის ძე არონიშიძის, რომელსაც ბრალდებოდა ორჯელ დეზერტირობა და მასზე გაცემულ სახაზინო ნივთების გაფლანგვა.

სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული არონიშიძე ყოფილა გაწვეული სამხედრო ბეგრის მოსახდელათ გ. წ. 1903 წ. დაბადებულებთან ერთად. ჩაიწერა 1-ლ ქართულ ლეგიონში, საიდანაც ბრ. გაქცეულა, ყოფილა მიცემული პასუხისგებაში და სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით მისჯილი ჰქონია რვა თვით თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით, რის განვლის შემდეგ მსახურობდა მესანგრე ასეულში. იქიდანაც ხელმეორედ გაქცეულა და ნაწილის გარეშე დაუყვია 28 დღე და ა. წ. 26 მარტს თავისი ნებით გამოცხადებულა თბილისის საკომენდანტოში, რის შემდეგ ყოფილა პასუხის გებაში მიცემული. გაქცევისას მას თან წაუღია მასზე გაცემული სახაზინო ნივთები, რომლის ნაწილი სახელდობრ ერთი მაზარა და ერთი ბატინკები მიუთვისებია და გაუფლანგავს. ტრიბუნალმა მიუსაჯა მას გამსახლში მოთავსება ერთი წლის ვადით

გნია.

## სამნეო დარგის საკითხები.

**მომავალი კარვობისთვის.**

ვინაიდან ახლო მომავალში ჯარის ნაწილები უნდა გავიდენ საკარვოდ, ამ ჟამად ყველა ჩვენი მეთაურების და სამნეო მუშაკების საზრუნავ—საფიქრებელ საგანს წარმოადგენს ჯერ—ერთი ის, თუ საიდან მიეცემათ მათ საკარვო ქონება (კარვები) და შემდეგ—როგორ იქნება მოწყობილი ჯარის ნაწილების სურსათ სანოვაგით მომარაგება ამ კარვობის დროს.

ზედმეტი მიწერ-მოწერის (ფოსტით და ტელეგრაფით) თავიდან ასაცილებლად მე მოკლედ გაგაცნობთ ქართულ დივიზიების ჯარის ნაწილების მომარაგების გეგმას, რომელიც ახლა შემუშავებულია არმიის მომარაგების სამმართველოში

**კარვები.**

კარვების განაწილების დროს მხედველობაში მიღებულია კავკასიის წითელ დროშოვან ლაშქრის სამმართველოს ცნობები ჯარის ნაწილების იმ შემადგენლობაზე, რომელიც უნდა გაყვანილ იქმნას საკარვოთ. მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განზრახულია შემდეგნაირად: დივიზიის მეთაურს და სამხკომს ეძლევათ თითო კარავი, ლეგიონის თავს და სამხკომს ეძლევათ ერთი კარავი, დანარჩენ მეთაურ—პოლიტშემადგენლობას—ერთი კარავი სამ კაცზე, თუ რომ სამეთაურო კარვები არ აღმოჩნდა საკმარისად, მაშინ მეთაურ—პოლიტშემადგენლობას ეძლევა წითელ არმიელების კარვები, ხოლო ერთი ცალი ხუთ კაცზე.

წითელ არმიელები თავსდებიან ათ-ათი კაცი თითო კარავში.

ამას გარდა იძლევა მამასახლისისთვის და კანცელარიისთვის ერთი კარავი. ყოველ თვითეულ ცალკე ნაწილისთვის და დეტების [?]ისთვის იძლევა ორ-ორი კარავი თითო პოლკზე.

1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიას ჩაერიცხა ჯარის ნაწილებში შენახული ვარგისი კარვები, რომლებიც მოითხოვენ საშუალოს, ან პატარა შეკეთებას და რომლებიც იყო აღებული აღნუ ხვაზე, თანახმად უკანასკნელი ოქმებისა.

კარვები, რომლებიც მოითხოვენ საფუძვლიან შეკეთებას და აგრეთვე მეთაურთა კარვების ზედმეტი ნაწილები მხედველობაში არაა მიღებული.

**საიდან ღებულობს 1-ლი დივიზია კარვებს.**

თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად 1-ლ ქართულ მსროლელმა დივიზიამ უნდა მიიღოს მე-5-ე ქართულ ტერიტორიალურ პოლკიდან 4 ცალი მეთაურის და 9 წითელი არმიელის კარვები და ამას გარდა უშუალოდ არმიის მომარაგების სამმართველოდან მეთაურთა და პოლიტშემადგენელთა საჭიროებისთვის —43—და წითელ არმიელთა საჭიროებისთვის 226 ცალი წითელ არმიელების კარვები.

ამ უკანასკნელთა რიცხვში შედის 5 ცალი ზედმეტი კარავისა, რომელიც იძლევა დივიზიის მეთაურის განკარგულებაში.

პოლკების ბატარეებს, საარტილერიო კარვობაში წასვლისას, მიაქვთ თან ორ-ორი ცალი მეთაურთა და სამ-სამი—წითელ არმიელთა კარვები, ხოლო დანარჩენ საჭირო რიცხვს კარვებისას, იგინი ღებულობენ ვაზიანში საარტილერიო საკარვოს უფროსიდან.

არმიის სამხ. სამნ. განყოფილების უფროსი **ს. შაკუნი.**

(გაგრძელება იქნება.)

## მეცნიერება და ტეხნიკა

**მფრინავი წყალქვეშა ნავი.**

წყალქვეშა ნავები, ტანკები და ჰაეროპლანები ამ ჟამად ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მილიტარისტებს.

მათ უნდათ შექმნან რაღაც ახალი უცნაური რაღაც უფრო თანადროული, რომელსაც შეეძლება თავი მოუყაროს ყველა ამ გამანადგურებელ საშინელებათა თვისებებს თავის თავში.



უამრავი გამომგონებლები გაძალებული მუშაობენ მცურავი ტანკების პროექტებზე, მფრინავ წყალქვეშა ნავების დასამზადებლად და მრავალი სხვა.

აი მფრინავ წყალქვეშა ნავის მოდელი. მისი გამომგონებლის აზრით ამ აპარატს შეეძლება შეასრულოს ერთდაიმავე დროს წყალქვეშა ნავისა და ჰაეროპლანების ფუნქციეები.

აპარატის ხრახნილ-პროპელერი მოძრაობაში უნდა მოვიდეს ბატარეებ-აკუმულიატორით, ხოლო მფრინავის ჰაერით უზრუნველსაყოფად, სასუნთქავად აპარატზე მოთავსებულია სითხედ ქცეული ჟანგბადი (ჰაერის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს წვას და სუნთქვას).

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. მესხს და ბერაძეს.** თქვენი წერილები რედაქციის მიმართ ამხ. ტალღას სასამართლოში გამოწვევის შესახებ არ იბეჭდება. ამხ. ტალღას მიერ აღნიშნული დანაშაულობანი სისხლის სამართლის დანაშაულობანია და ისინი შეადგენენ არა სამედიატორო სასამართლოს მსჯელობის საგანს, არამედ საპროკურორო ზედამხედველობისას. რაც შეეხება თქვენს ჩივილს, თითქოს ამხ. ტალღა ნიღაბს ამოეფარა და სხვა ასეთები, ეს უსაფუძვლოა, რადგან სადაც საჭირო იქნება ამხ. ტალღას ვინაობა გამომჟღავნდება.

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**


## განცხადებები

**ხვალ, 6 მაისს, საღამოს 7 საათზე**
**წითელ არმიის და ფლოტის**
**სახლის**

საზაფხულო შენობაში (პლეხანოვის პრ. № 73) დანიშნულია რუსულ სამხედრო ნაწილების სამხკორებთან ერთად ტფილისში მდგომ ქართულ ნაწილების

**სამხკორთა კრება**

დღის წესრიგში: 1) **მუშაობა საზაფხულო პერიოდში** 2) **კედლის გაზეთის გამოფენის შედეგები.**

**სამხკორებს** ვსთხოვთ დაესწრონ აგრეთვე **ბეჭვდითი სიტყვის** მუშაკთა, მუშკორების, სამხკორების და ახკორების საღამოს დღეს საღამოს 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კოლოუბნის ქ. № 3).

**ამხ. ვარდინის მოხსენება: ბეჭვდითი მუშაობის ამოცანები.**

ნაწილის უფროსებს ვთხოვთ აღნიშნულ საღამოებისათვის განთავისუფლონ სამხკორები სამხედრო მუშაობისაგან.

გაზ. **„წითელი არმიელის“ რედაქცია.**


ნ. ლ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.